

## თავი 7

### პროდუქციაზე დანახარჯების მიკუთვნების სისტემის დამატებითი ასპექტები

#### 1. პროდუქციის შეკვეთაზე დანახარჯების მიკუთვნების სისტემა განსაზღვრავს:

- ა. დანახარჯებს ყველა ნაკეთობაზე, რომელიც საანგარიშო პერიოდში იწარმოება.
- ბ. დანახარჯებს თითოეულ გამოყოფილ შეკვეთაზე ან პროდუქციის ერთეულზე.
- გ. დანახარჯებს საანგარიშო პერიოდში წარმოებულ ყველა ნაკეთობის დამზადებასა და რეალიზაციაზე.

#### 2. პროცესზე დანახარჯების მიკუთვნების სისტემა განსაზღვრავს:

- ა. დანახარჯებს თითოეულ გამოყოფილ შეკვეთის დამზადებასა და რეალიზაციაზე.
- ბ. დანახარჯებს ყველა ნაკეთობაზე, რომელიც საანგარიშო პერიოდში იწარმოება.
- გ. დანახარჯებს თითოეულ გამოყოფილ შეკვეთაზე ან პროდუქციის ერთეულზე.

#### 3. ნაკადური წარმოების პროცესის დროს:

- ა. არ შეიძლება ფიზიკურად გამოვყოს პროდუქციის ერთეული, ყველა შერწყმულია უწყვეტ პროცესში.
- ბ. შეიძლება გამოვყოს ცალკეული ნაკეთობა, მაგრამ ისინი პრაქტიკულად ერთნაირები არიან და საერთო ნაკადით მიდიან.
- გ. იწარმოება ერთეული პროდუქცია, რომელიც მოითხოვს პარალელურ დამუშავებას საწარმოს რამდენიმე ქვეგანყოფილებაში.

#### 4. დანახარჯების პირდაპირობა (ან არაპირდაპირობა) განისაზღვრება:

- ა. წარმოების მოცულობის მიმართ.
- ბ. დანახარჯთა ობიექტის მიმართ.
- გ. წარმოების მართვის პროცესის მიმართ.

#### 5. პროდუქციაზე (შეკვეთაზე) დანახარჯების მიკუთვნება ხდება:

- ა. ნაკადური და უწყვეტი წარმოების დროს.
- ბ. მცირესერიული და ნაკადური წარმოების დროს.
- გ. მცირესერიული და ერთეული პროდუქციის წარმოების დროს.

#### 6. თუკი საწარმოო პროცესში ნედლეული და მასალები თანდათან ერთვებიან, მაშინ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წარმოებული პროდუქციის გაანგარიშებული ექვივალენტის განსაზღვრისათვის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დაუმთავრებელი პროდუქციის რაოდენობა შეიძლება ავიღოთ:

- ა. კოეფიციენტით 1.
- ბ. კოეფიციენტით 0,5.
- გ. კოეფიციენტი ღვინდება მათი მზაობის ხარისხის შესაბამისად.

**7. ზედნადები ხარჯების კოეფიციენტები გამოიყენება:**

- ა. პროცესის მიხედვით დანახარჯთა ობიექტზე მოსული პირდაპირი დანახარჯების ნაკეთობაზე გადანაწილებისათვის.
- ბ. პროდუქციის მიხედვით დანახარჯთა ობიექტზე მოსული არაპირდაპირი დანახარჯების ნაკეთობაზე გადანაწილებისათვის.
- გ. პროდუქციის მიხედვით დანახარჯების ცენტრზე მოსული არაპირდაპირი დანახარჯების ნაკეთობებზე გადანაწილებისათვის.

**8. ზედნადები ხარჯების შთანთქმის განაკვეთი გამოიყენება:**

- ა. დანახარჯთა ცენტრის მთლიანი ზედნადები ხარჯების დასადგენად.
- ბ. პროდუქციაზე ზედნადები ხარჯების გასანაწილებლად.
- გ. ზედნადებ ხარჯებზე კონტროლის განსახორციელებლად.

**9. ზედნადები ხარჯების შთანთქმის სიჭარბეს მაშინ აქვს ადგილი, როცა:**

- ა. შთანთქმული ზედნადები ხარჯები აღემატება ფაქტობრივ ზედნადებ ხარჯებს.
- ბ. შთანთქმული ზედნადები ხარჯები აღემატება საბიუჯეტო ზედნადებ ხარჯებს.
- გ. საბიუჯეტო ზედნადები ხარჯები აღემატება შთანთქმულ ზედნადებ ხარჯებს.

**10. საწარმოო კომპანია ზედნადები ხარჯის შთანთქმას ახდენს წარმოებული ერთეულების საფუძველზე. განხილულ პერიოდში წარმოებულ იქნა 110,000 ერთეული და ფაქტობრივი ზედნადები დანახარჯი იყო 500,000 ლარი. პერიოდის ზედნადები ხარჯის შთანთქმის ნამეტტი იყო 50,000 ლარი.**

**ზედნადები დანახარჯის შთანთქმის განაკვეთი იყო:**

- ა. 4 ლარი ერთეულზე;
- ბ. 4.50 ლარი ერთეულზე;
- გ. 5.00 ლარი ერთეულზე;
- დ. 5.50 ლარი ერთეულზე.

**11. ზედნადები დანახარჯის შთანთქმის ნამეტს ადგილი აქვს მაშინ, როცა:**

- ა. შთანთქმული ზედნადები დანახარჯი აჭარბებს ფაქტობრივ ზედნადებ დანახარჯს;
- ბ. შთანთქმული ზედნადები დანახარჯი აჭარბებს საბიუჯეტო ზედნადებ დანახარჯს;
- გ. ფაქტობრივი ზედნადები დანახარჯი აჭარბებს საბიუჯეტო ზედნადებ დანახარჯს;
- დ. საბიუჯეტო ზედნადები დანახარჯი აჭარბებს შთანთქმულ ზედნადებ დანახარჯს;

**12. ზედნადები დანახარჯის შთანთქმის განაკვეთი გამოიყენება:**

- ა. საერთო დანახარჯების, დანახარჯების ცენტრების მიხედვით განაწილებისათვის;
- ბ. დანახარჯთა ცენტრის მთლიანი დანახარჯის დასადგენად;
- გ. პროდუქციის ზედნადები დანახარჯის შთანთქმისათვის;
- დ. ზედნადები დანახარჯის კონტროლისათვის.

**ამოცანა 1.**

სამრეწველო კომპანია შ.პ.ს. "X" აწარმოებს "ა" პროდუქტს, რომლის დანახარჯთა აღრიცხვის ბარათის მონაცემებია:

|                  |                     |              |
|------------------|---------------------|--------------|
| პირდაპირი შრომა  | 3 სთ – 5ლარი სთ-ში  | 15000        |
| პირდაპირი მასალა | 2კგ. – 5 ლარი კგ-ში | 10000        |
| <b>სულ:</b>      |                     | <b>25000</b> |

შ.პ.ს. "X" თვეში აწარმოებს და ყიდის 1 000 ერთეულს.

შ.პ.ს. "X"-მა შეაფასა თვიური ზედნადები ხარჯები:

|                       |              |
|-----------------------|--------------|
| თბოენერგია            | 2000         |
| ელექტროენერგია        | 1000         |
| ტექნიკური მომსახურება | 400          |
| <b>სულ:</b>           | <b>3 400</b> |

**გაიანგარიშეთ:**

- 1) "ა" პროდუქტის თითოეულ ერთეულზე მისაკუთვნიებული ზედნადები ხარჯი;
- 2) "ა" პროდუქტის ერთეულის მთლიანი დანახარჯი;

**ამოცანა 2.**

სამრეწველო კომპანია აწარმოებს "ა" პროდუქტს, რომლის დანახარჯთა აღრიცხვის ბარათში შემდეგი მონაცემები იკითხება:

|                  |                       |           |
|------------------|-----------------------|-----------|
| პირდაპირი შრომა  | 2 სთ – 6ლარი სთ-ში    | 12        |
| პირდაპირი მასალა | 2კგ. – 2.5 ლარი კგ-ში | 5         |
| <b>სულ:</b>      |                       | <b>17</b> |

კომპანიის თვიური ფაქტიური ზედნადები ხარჯები შემდეგია:

|                            |              |
|----------------------------|--------------|
| საიჯარო ქირა               | 20000        |
| ელექტროენერგია             | 12000        |
| მანქანა-დანადგარების ცვეთა | 8000         |
| <b>სულ:</b>                | <b>40000</b> |

შეკვეთის მოცულობა წარმოადგენს 2500 ცალ “ა” პროდუქტს. კომპანიაში იწარმოება სხვა პროდუქტებიც და ზედნადები დანახარჯები მოიცავს მთლიან საწარმოო პროცესს. ზედნადები ხარჯების მიკუთვნება ხდება პირდაპირ შრომის საათების ბაზით 35/საათზე.

**გაიანგარიშეთ:**

- 1) “ა” პროდუქტის თითოეულ ერთეულზე მისაკუთვებელი ზედნადები ხარჯი;
- 2) “ა” პროდუქტის ერთეულის დანახარჯი;

**ამოცანა 3.**

შ.პ.ს. “X”-ს აქვს ორი საწარმოო ქვეგანყოფი (საამწყობო და საბოლოო დამუშავების) და ორი – მომსახურების ( სარემონტო და სასადილო).

ცნობილია მომდევნო პერიოდის ბიუჯეტის დანახარჯები:

|                            | ლარი    |
|----------------------------|---------|
| არაპირდაპირი მასალა        | 520'000 |
| საიჯარო ქირა               | 15'000  |
| ელექტროენერგია             | 10'000  |
| მანქანა-დანადგარების ცვეთა | 5'000   |
| არაპირდაპირი შრომა         | 16'520  |

გარდა ამისა გვაქვს შემდეგი ინფორმაცია:

|                                  | საამწყობო | საბოლოო<br>დამუშავების | სარემონტო | სასადილო |
|----------------------------------|-----------|------------------------|-----------|----------|
| დაკავებული ფართობი (კვ.მ)        | 1 000     | 2 000                  | 500       | 500      |
| მოხმარებული კვტ.სთ               | 2 750     | 4 500                  | 1 975     | 775      |
| დანადგარის ღირებულება (ლ)        | 45 000    | 35 000                 | 11 000    | 9 000    |
| პერსონალი (კაცი)                 | 20        | 30                     | 10        | 2        |
| პირდაპირი კაც.სთ                 | 3 175     | 3 800                  | —         | —        |
| არაპირდაპირი მასალა გეგმიური (ლ) | 7 000     | 8 000                  | 3 000     | 2 000    |
| არაპირდაპირი შრომა, გეგმიური (ლ) | 1 600     | 2 220                  | 11 200    | 1 500    |

**მოგეთხოვებათ:**

შეაყოსთ ზედნადები ხარჯების ცხრილის ამონარიდი, რომელიც ნაჩვენებია ქვემოთ.

## ზედნადები ხარჯების ცხრილი

| ზედნადები ხარჯები | განაწილების საფუძველი | საამწყო (ლ) | საბოლოო დამუშავების (ლ) | სარემონტო (ლ) | სასადილო (ლ) | მთლიანი (ლ) |
|-------------------|-----------------------|-------------|-------------------------|---------------|--------------|-------------|
| ელ. ენერგია       |                       |             |                         |               |              |             |
| საიჯარო ქირა      |                       |             |                         |               |              |             |
| ცვეთა             |                       |             |                         |               |              |             |

### ამოცანა 4.

შ.პ.ს. “X”-ის მთლიანი ზედნადები ხარჯები მიკუთვნებული და განაწილებულია წარმოებისა და მომსახურების განყოფილებებზე შემდეგნაირად:

|                     | ლარი   |
|---------------------|--------|
| საამწყო             | 17 350 |
| საბოლოო დამუშავების | 23 970 |
| სარემონტო           | 18 600 |
| სასადილო            | 6 600  |

სარემონტო განყოფილების დანახარჯების განაწილების შესაფერისი მეთოდი არის მოწყობილობების მომსახურებაზე დახარჯული დრო. სარემონტო განყოფილების მიერ დახარჯული დრო საამწყო და საბოლოო დამუშავების განყოფილებების მოწყობილობების მომსახურებაზე ნაჩვენებია ქვემოთ.

|                     |     |
|---------------------|-----|
| საამწყო             | 60% |
| საბოლოო დამუშავების | 40% |

სასადილოს ზედნადები ხარჯები დანარჩენ სამ განყოფილებაზე ხელახლა გადანაწილდება თანამშრომელთა რაოდენობის საფუძველზე.

|                         | საამწყო | საბოლოო დამუშავების | სარემონტო | სასადილო |
|-------------------------|---------|---------------------|-----------|----------|
| თანამშრომელთა რაოდენობა | 20      | 30                  | 10        | 2        |

### მოგეთხოვებათ:

შეაესოთ ზედნადები ხარჯების საანალიზო ცხრილი, რომელიც მოცემულია ქვემოთ.

### მიითითება:

პირველად გადაანაწილეთ სასადილოს დანახარჯები, ვინაიდან სასადილო მუშაობს სარემონტო მომსახურების განყოფილებისათვის. სარემონტო განყოფილება კი არ ემსახურება სასადილოს.

| ზედნადები<br>ხარჯები                     | განაწილების<br>საფუძველი | საამწყობო<br>(ლარი) | საბოლოო<br>დამუშავების<br>(ლარი) | სარემონტო<br>(ლარი) | სასადილო<br>(ლარი) | მთლიანი<br>(ლარი) |
|------------------------------------------|--------------------------|---------------------|----------------------------------|---------------------|--------------------|-------------------|
| სულ<br>(ამოცანიდან)                      |                          |                     |                                  |                     |                    |                   |
| სასადილოს<br>გადანაწილება                |                          |                     |                                  |                     |                    |                   |
| ქვეჯამი                                  |                          |                     |                                  |                     |                    |                   |
| სარემონტო<br>მომს. განყ.<br>გადანაწილება |                          |                     |                                  |                     |                    |                   |
| მთლიანი                                  |                          |                     |                                  |                     |                    |                   |

### ამოცანა 5.

ქარხანაში ორი საწარმოო დანახარჯთა ცენტრია – “ა” და “ბ” და ორი მომსახურების დანახარჯთა ცენტრი “გ” და “დ”. თითოეულ ცენტრზე მიკუთვნებული და განაწილებული მთლიანი ზედნადები ხარჯების შესახებ მონაცემები შემდეგია:

| “ა”       | “ბ”       | “გ”       | “დ”       |
|-----------|-----------|-----------|-----------|
| 40'000 ლ. | 50'000 ლ. | 30'000 ლ. | 18'000 ლ. |

მომსახურების დანახარჯთა ცენტრების მიერ შესრულებულია შემდეგი სამუშაო:

|                                                   | “ა”  | “ბ” | “გ” | “დ” |
|---------------------------------------------------|------|-----|-----|-----|
| “გ” მომსახურების დანახარჯთა ცენტრის ხვედრითი წილი | 30%  | 70% | –   | –   |
| “დ” მომსახურების დანახარჯთა ხვედრითი წილი         | 50 % | 40% | 10% | –   |

კომპანია მომსახურების დანახარჯთა ცენტრების დანახარჯებს საწარმოო დანახარჯთა ცენტრებზე ისეთი მეთოდით ანაწილებს, რომელიც სრულყოფილად ითვალისწინებს ერთი მომსახურების დანახარჯთა ცენტრის მიერ მეორისთვის შესრულებულ ნებისმიერ სამუშაოს.

რა იქნება “ა” საწარმოს დანახარჯთა ცენტრის მთლიანი ზედნადები ხარჯი მომსახურების დანახარჯთა ყველა ცენტრის დანახარჯების ხელახალი გადანაწილების შემდეგ?

**ამოცანა 6.**

ქარხანაში ორი საწარმოო დანახარჯთა ცენტრია –“ა” და “ბ” და ორი მომსახურების დანახარჯთა ცენტრი “გ” და “დ”. თითოეულ ცენტრზე მიკუთვნებული და განაწილებული მთლიანი ზედნადები ხარჯების შესახებ გვაქვს ინფორმაცია:

| “ა”       | “ბ”       | “გ”      | “დ”       |
|-----------|-----------|----------|-----------|
| 95'000 ლ. | 82'000 ლ. | 46'000ლ. | 30'000 ლ. |

შეფასებულია, რომ თითოეული მომსახურების დანახარჯთა ცენტრი დანახარჯთა სხვა ცენტრისთვის მუშაობს შემდეგი პროპორციით:

|                                                   | “ა” | “ბ” | “გ” | “დ” |
|---------------------------------------------------|-----|-----|-----|-----|
| “გ” მომსახურების დანახარჯთა ცენტრისხვედრითი წილი  | 40  | 40  | –   | 20  |
| “დ” მომსახურების დანახარჯთა ცენტრის ხვედრითი წილი | 30  | 60  | 10  | –   |

რამდენი იქნება “ა” საწარმოს დანახარჯთა ცენტრის მთლიანი ზედნადები ხარჯები მომსახურების დანახარჯთა ყველა ცენტრის დანახარჯების ხელახალი გადანაწილების შემდეგ ისეთი მეთოდით, რომელიც სრულყოფილად ითვალისწინებს ქარხნის ფარგლებში ორმხრივად შესრულებულ ნებისმიერ მომსახურებას?

**ამოცანა 7.**

სამრეწველო კომპანია “X”-ს აქვს ორი საამქრო: ჩამოსახმელი და სამღებრო და იყენებს საწარმოო ზედნადები ხარჯების შთანთქმის განაკვეთს: სამღებრო - პირდაპირი კაცსაათების საფუძველზე, ხოლო ჩამოსახმელი – ჩარხ/საათების საფუძველზე. ქვემოთ ცხრილში მოცემულია პერიოდის გეგმიური და ფაქტობრივი მონაცემები:

|                   | ძირითადი<br>ხელფასი<br>(ლ) | კაც-<br>საათები | მანქანა-<br>საათები | საწარმოო<br>ზედნადები<br>ხარჯები (ლ) |
|-------------------|----------------------------|-----------------|---------------------|--------------------------------------|
| <b>ბიუჯეტი</b>    |                            |                 |                     |                                      |
| ჩამოსახმელი       | 24'000                     | 4'000           | 12'000              | 180'000                              |
| სამღებრო          | 70'000                     | 10'000          | 10'000              | 100'000                              |
|                   | <b>94'000</b>              | <b>14'000</b>   | <b>13'000</b>       | <b>280'000</b>                       |
| <b>ფაქტობრივი</b> |                            |                 |                     |                                      |
| ჩამოსახმელი       | 30'000                     | 5'000           | 14'000              | 200'000                              |
| სამღებრო          | 59'000                     | 8'500           | 800                 | 95'000                               |
|                   | <b>89'500</b>              | <b>13'500</b>   | <b>4'800</b>        | <b>295'000</b>                       |

ამ პერიოდის განმავლობაში დაამზადეს ქანდაკებების პარტია შემდეგი დანახარჯებით:

|              | ძირითადი<br>ხელფასის<br>საათები(ლ) | კაც-<br>საათები | მანქანა-<br>საათები |
|--------------|------------------------------------|-----------------|---------------------|
| ფაქტიური     |                                    |                 |                     |
| ჩამოსასხმელი | 726                                | 120             | 460                 |
| სამღებრო     | 2 490                              | 415             | 38                  |
|              | <b>3 216</b>                       | <b>535</b>      | <b>498</b>          |

პარტიაზე პირდაპირი მასალის დანახარჯმა შეადგინა 890 ლ.

**გაიანგარიშეთ:**

ა) გამოიყენეთ ინფორმაცია და გაიანგარიშეთ ცალ-ცალკე შესაბამისი განყოფილებების შთანთქმის განაკვეთები:

ზედნადები ხარჯების შთანთქმის განაკვეთი:

**ჩამოსასხმელ სამქროში**

სამღებრო სამქროში

ბ) განყოფილებების შთანთქმის განაკვეთის გამოყენებით გაიანგარიშეთ ქანდაკებების პარტიის დანახარჯი:



**ამოცანა 8.**

შემდეგი მონაცემები ეხება შ.პ.ს. “X”-ს.

|                                | გეგმიური<br>ლარი | ფაქტობრივი<br>ლარი |
|--------------------------------|------------------|--------------------|
| ზედნადები ხარჯები              | 148 750          | 146 200            |
| მანქანასათები (შთანთქმის ბაზა) | 8 500            | 7 928              |

გაიანგარიშეთ ზედნადები ხარჯების შთანთქმის  
განაკვეთი და დანაკლისი (ან სიჭარბე):

**ამოცანა 9.**

შ.პ.ს. “X”-მა თავისი განყოფილებებისათვის მოამზადა წლიური ბიუჯეტი. კომპანიას აქვს სამი საწარმოო ქვეგანყოფილება – მექანიკური, საამწვობო და საბოლოო დამუშავების საამქრო, ასევე აქვს წარმოების ტექნიკური მომსახურების განყოფილება.

|                                            | მექანიკური | საამწვობო | საბოლოო<br>დამუშავ. | ტექნიკური-<br>მომსახურების | მთლიანი |
|--------------------------------------------|------------|-----------|---------------------|----------------------------|---------|
|                                            | ათ.ლარი    | ათ.ლარი   | ათ.ლარი             | ათ.ლარი                    | ათ.ლარი |
| <b>დანახარჯები</b>                         |            |           |                     |                            |         |
| ძირითადი ხელფასი                           | 60         | 32        | 72                  | 0                          | 164     |
| არაძირითადი ხელფასი                        | 10         | 6         | 8                   | 30                         | 54      |
| პირდაპირი მასალა                           | 80         | 10        | 4                   | 0                          | 94      |
| არაპირდაპირი მასალა                        | 15         | 4         | 8                   | 20                         | 47      |
| ელექტროენერგია                             |            |           |                     |                            | 102     |
| განათება და გათბობა                        |            |           |                     |                            | 10      |
| ცვეთა                                      |            |           |                     |                            | 7       |
| საიჯარო ქირა და<br>კომუნალური გადასახადები |            |           |                     |                            | 25      |
|                                            |            |           |                     |                            |         |
|                                            |            |           |                     |                            |         |
|                                            |            |           |                     |                            |         |

| სხვა მონაცემები                                                 | მექ. სააქრო | საამწყობო | საბოლოო დამუშავება | ტექ. მომსახურება | მთლიანი |
|-----------------------------------------------------------------|-------------|-----------|--------------------|------------------|---------|
| პირდაპირი კაც.სთ                                                | 12 000      | 8 000     | 16 000             | 6 000            | 42 000  |
| მანქანასაათები                                                  | 40 000      | 5 000     | 6 000              | 0                | 51 000  |
| თანამშრომლები                                                   | 6           | 4         | 8                  | 3                | 21      |
| დაკავებული ფართ. (კვ.მ)                                         | 1 000       | 400       | 300                | 300              | 2 000   |
| გრძელვადიანი აქტივების წმინდა სააღრიცხვო ღირებულება (წლ) (ლარი) | 20 000      | 8 000     | 3 000              | 4 000            | 35 000  |

ნაგარაუდევია, რომ ტექნიკური მომსახურების განყოფილება თავისი სამუშაო დროის 60%-ს დახარჯავს მექანიკურ საამქროზე, ხოლო დანარჩენს თანაბრად გაანაწილებს საამწყობო და საბოლოო და საბოლოო დამუშავების საამქროებზე.

**(ა) გამოთვალეთ მთლიანი ზედნადები ხარჯები:**

მექანიკურ საამქროში

საამწყობო საამქროში

საბოლოო დამუშავების საამქროში

**(ბ) გამოითვალეთ ზედნადები ხარჯების შესაფერისი შთანთქმის განაკვეთი:**

(გათვლების საბოლოო შედეგები დაამრგვალეთ მთელეზამდე სიზუსტით).

მექანიკურ საამქროში

საამწყობო საამქროში

საბოლოო დამუშავების საამქროში

*(გ) გაიანგარიშეთ ერთეული პროდუქციის ზედნადები დანახარჯი, რომლის დამზადებასაც ფაქტიურად დაჭირდა:*

მექანიკურ საამქროში – 3 მანქ./სთ

საამწყობო საამქროში – 1 კაც.სთ

საბოლოო დამუშავების საამქროში – 2 კაც.სთ

*(დ) დაუშვით, რომ მექანიკურ საამქროში ყველა გაწეულმა ფაქტობრივმა მუდმივმა ზედნადებმა ხარჯებმა ერთად შეადგინა 128 000 ლარი, ხოლო ფაქტობრივმა პირდაპირმა კაცსაათებმა და მანქანასაათებმა 10 500 და 39 000 შესაბამისად. გამოთვალეთ მექანიკური საამქროსათვის ზედნადები ხარჯების შთანთქმის სიჭარბე/დანაკლისი.*

#### ამოცანა 10.

ფირმა ზედნადები ხარჯების შთანთქმას ახორციელებს მანქანასაათების საფუძველზე. ერთ-ერთ პერიოდში ნამუშევარი იყო 15000 მანქანასაათი. ფაქტობრივმა ზედნადებმა ხარჯებმა შეადგინა 165000 ლარი. ამავე პერიოდში აღგილი ჰქონდა 34500 ლარის სიდიდის შთანთქმის სიჭარბეს.

იპოვეთ ზედნადები ხარჯების შთანთქმის განაკვეთი ერთ მანქანასაათზე.

**ამოცანა 11.**

ფირმა ზედნადები ხარჯების შთანთქმას ახორციელებს კაცსაათების საფუძველზე. ერთ-ერთ პერიოდში ნამუშევარი იყო 18000 კაცსაათი. ფაქტობრივმა ზედნადებმა ხარჯებმა შეადგინა 234000 ლარი. ამავე პერიოდში აღიღო ჰქონდა 36000 ლარის სიდიდის შთანთქმის დანაკლისი.

იპოვეთ ზედნადები ხარჯების შთანთქმის განაკვეთი ერთ კაცსაათზე.

**ამოცანა 12.**

მექანიკური საამქროს მიმდინარე წლის წლიური ბიუჯეტი არის შემდეგი:

|                                |                    |
|--------------------------------|--------------------|
| დაგეგმილი ზედნადები დანახარჯი  | 60000 ლარი         |
| საქმიანობის დაგეგმილი მოცულობა | 12000 მანქანასაათი |

იანვარში მექანიკურ საამქროს ჰქონდა 5400 ლარის ზედნადები დანახარჯი და 1050 ნამუშევარი მანქანასაათი

**გაიანგარიშეთ:**

- ა) წინასწარგანსაზღვრული შთანთქმის განაკვეთი;
- ბ) იანვრის თვეში შთანთქმის განაკვეთი ან სიჭარბე.

**ამოცანა 13.**

შპს „X“ ზედნადები დანახარჯის შთანთქმის ბაზად იყენებს პირდაპირ სამუშაო დროს. მათი ანგარიშიდან ცნობილია შემდეგი დეტალები:

ზედნადები ხარჯები დაგეგმილია 350000 ლარი 35000 სამუშაო საათისათვის.

ფაქტობრივი ზედნადები ხარჯია 400000 ლარი.

ფაქტობრივად ნამუშევარი საათებია 30000 სთ.

**გაიანგარიშეთ:**

ზედნადები დანახარჯების მიკუთვნების დანაკლისი.

**ამოცანა 14.**

შპს „Z“ ზედნადები დანახარჯების შთანთქმას ახდენს დამზადებული ერთეულების საფუძველზე. პერიოდის განმავლობაში 23000 ერთეული იქნა დამზადებული, ფაქტობრივი ზედნადები დანახარჯები იყო 276000 ლარი და ზედნადები ხარჯების მიკუთვნების დანაკლისი კი – 46000 ლარი.

**გაიანგარიშეთ:**

გაიანგარიშეთ დაგეგმილი ზედნადები დანახარჯების შთანთქმის განაკვეთი ერთეულზე.

**ამოცანა 15.**

კომპანია „ბეტა“ იყენებს დანახარჯთა სრული განაწილების კალკულაციის სისტემას. კომპანია გეგმავს, რომ მოსალოდნელი სახარჯთაღრიცხვო საწარმოო ზედნადები ხარჯები 2009 წელს შემდეგნაირი იქნება:

|                           | ბუღივი<br>დანახარჯები | ცვლადი<br>დანახარჯები |
|---------------------------|-----------------------|-----------------------|
| აღჭურვილობის საამქრო      | 600000                | 480000                |
| ხელით დამუშავების საამქრო | 360000                | 400000                |

წარმოება 2009 წლის განმავლობაში იგეგმება 200000 ერთეული, რაზედაც იგეგმება რომ დახარჯული იქნება აღჭურვილობის საამქროს ჩარხების მუშაობის 80000 საათი და ხელით დამუშავების საამქროს ძირითად საწარმოო მომუშავეთა 120000 საათი.

2009 წლის იანვრის თვის ფაქტიური მონაცემები შემდეგი სახისაა:

(1) ძირითადი საწარმოო მომუშავეების ფაქტიურად გამომუშავებულმა დრომ შეადგინა:

|                           |            |
|---------------------------|------------|
| აღჭურვილობის საამქრო      | 6000 საათი |
| ხელით დამუშავების საამქრო | 9600 საათი |

(2) ფაქტიურმა ზედნადებმა ხარჯებმა შეადგინა:

|                           | მუდმივი<br>დანახარჯები | ცვლადი<br>დანახარჯები |
|---------------------------|------------------------|-----------------------|
| აღჭურვილობის საამქრო      | 48500                  | 36000                 |
| ხელით დამუშავების საამქრო | 33600                  | 33500                 |

**გაიანგარიშეთ:**

- გაიანგარიშეთ ზედნადები ხარჯების ანაზღაურების შესაბამისი ნორმატული განაკვეთები 2009 წლისათვის;
- გაიანგარიშეთ ზედნადები ხარჯების ანაზღაურების ზედმეტობა (დანაკლისი) კომპანიის თითოეული საამქროსათვის 2009 წლის იანვარში.

(შედეგები დაამრგვალეთ მეასედებამდე სიზუსტით)

**ამოცანა 16.**

მეწარმე სამუშაოს იწყებს პირველ მარტს. მარტის თვეში დაწეებული სამუშაო დაკავშირებული იყო 20000 ერთეულის დამუშავებასთან. მარტის ბოლოს 1500 ერთეული ჯერ კიდევ დარჩენილია პროცესში და ნავარაუდევია, ყოველი ერთეულის ორი მესამედი არის დასრულებული. პერიოდის დანახარჯმა შეადგინა 19500 ლარი

**გაიანგარიშეთ:**

გამოთვალეთ დასრულებული ერთეულებისა და დაუმთავრებელი პროცესის ღირებულება 31 მარტისათვის.

**ამოცანა 17.**

მეწარმე სამუშაოს იწყებს პირველ მარტს. მარტის თვეში დაწეებული სამუშაო დაკავშირებული იყო 20000 ერთეულის დამუშავებასთან. მარტის ბოლოს 1500 ერთეული ჯერ კიდევ დარჩენილია პროცესში და ნავარაუდევია, ყოველი ერთეულის ერთი მესამედი არის დასრულებული. პერიოდის დანახარჯმა შეადგინა 19500 ლარი, მათ შორის: მასალა 10000 ლარი, შრომა – 9500 ლარი.

**გაიანგარიშეთ:**

გამოთვალეთ დასრულებული ერთეულებისა და დაუმთავრებელი პროცესის ღირებულება 31 მარტისათვის, თუ მასალა მთლიანადაა ჩადებული პროცესში.

**ამოცანა 18.**

ქარხანა აწარმოებს მაგიდებს. მაისის თვეში დაიწყო 110000 ცალიანი პარტიეს დამზადება. თვის დასაწყისში ნაშთი იყო 20000 ცალი 50%-ით დასრულებული, ხოლო თვის ბოლოს 40000 ცალი 50%-ით დასრულებული.

|                                  |           |
|----------------------------------|-----------|
| პარტიეს დამზადების დანახარჯებია: | ლარებში   |
| წინა ნაშთი                       | 11000000  |
| მაისის თვის დანახარჯი            | 121000000 |

**გაიანგარიშეთ:**

- 1) მზა პროდუქციისა და ექვივალენტური ერთეული ოდენობა;
- 2) ერთი ექვივალენტური ერთეულის დანახარჯი;
- 3) „მზა პროდუქციისა“ და „დაუმთავრებელი წარმოების“ ანგარიშების ნაშთები.



20X0 წლის მარტის თვეში გამაჯანსაღებელ ცენტრს პრობლემები შეექმნა. მნიშვნელოვანი დოტაციები, რომელთაც ცენტრი გასულ წლებში იღებდა, არსებითად შემცირდა, ამიტომ ხელმძღვანელობას სურდა მოემზადებინა ცენტრი თვითდაფინანსებაზე გადასასვლელად. ერთერთი სერიოზული წინააღმდეგობა ამის განსახორციელებლად იყო გამაჯანსაღებელ ცენტრში მიღებული აღრიცხვის სისტემის არასრულყოფილება, რომელიც ვერ უზრუნველყოფდა ყველა საჭირო ინფორმაციის მოწოდებას.

გამაჯანსაღებელი ცენტრის ახალ ბუღალტერთან ხელმძღვანელობას აქვს შემდეგი მოთხოვნები:

შემოსავლებისა და ხარჯების არსებული ტენდენცია უნდა შეიცვალოს, რომ შევინარჩუნოთ გამაჯანსაღებელი ცენტრი. ამისთვის აუცილებელია ყველა დანახარჯის ცოდნა. ამას მეორე საკითხამდე მივყავართ: როგორია პაციენტებისათვის შეთავაზებული მომსახურების თვითღირებულება. დღესდღეობით პაციენტი ერთიდაიგივე საფასურს იხდის, მიღებული მომსახურების ნაკრებისგან დამოუკიდებლად.

ხელმძღვანელმა ასევე, მოიყვანა გამაჯანსაღებელი ცენტრის დანახარჯების ანალიზის შემდეგი მოტივები: ოჯახის გამრავლების დაგეგმვის და ფსიქიკური დარღვევების აღმოფხვრის პროგრამის ფარგლებში ბიუჯეტიდან ცენტრისთვის მოდის დოტაციები. ამ პროგრამების მიხედვით სახსრების მისაღებად აუცილებელია წარმოდგენილი იქნას ინფორმაცია ცენტრის ფაქტიური ხარჯების თაობაზე. საბიუჯეტო დოტაცია ხარჯების ერთ მესამედს ანაზღაურებს, ამიტომ პაციენტების მიღებისა და მომსახურების საფასური მნიშვნელოვნად არ უნდა აჭარბებდეს ამ მიზნით გაწეულ ხარჯებს.

გამაჯანსაღებელი ცენტრი 8 ძირითადი საწარმოო განყოფილებისაგან შედგება: პედიატრიული, ზრდასრული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების, ოჯახის შემადგენლობის დაგეგმვის, ავადმყოფთა მოვლის სამსახური (საშუალო სამედიცინო პერსონალის განყოფილება), ფსიქოლოგიური სამსახური, სოციალური სამსახური, სტომატოლოგიური განყოფილება და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური. გარდა ამისა ცენტრში არის ლაბორატორია და რეგისტრატურა. კლიენტების მოთხოვნით შემოღებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური - მრავალფუნქციურია. იგი აგრეთვე უზრუნველყოფს კავშირს მთლიანი ცენტრის სამსახურებსა და განყოფილებებს შორის, სკოლებთან და ქალაქის კომუნალურ სამსახურებთან. ამ განყოფილებაში მუშაობენ: ლოგოპედი და სწავლების მეთოდოლოგიის სპეციალისტი ნახევარ სამტატო განაკვეთზე და ექიმი დიეტოლოგი მთლიან სამტატო განაკვეთზე. მთლიანად გამაჯანსაღებელ ცენტრში მუშაობს 22 შტატისანი თანამშრომელი, და 6-დან 10-მდე უფასოდ მომუშავე მოხალისე. ესენი, როგორც წესი, სამედიცინო ინსტიტუტის პრაქტიკანტი ან ორდინატურის გამვლელი სტუდენტები არიან.

**არსებული აღრიცხვის სისტემა:** ბუღალტრის წინამორბედი იყენებდა დანახარჯთა აღრიცხვის სისტემას, რომლის თანახმად პაციენტის მიღების საფასური დგინდებოდა წლის განმავლობაში პაციენტის ცენტრში მისვლაზე (მიღებაზე) დანახარჯების საშუალო სიდიდის საფუძველზე. ბუღალტერი უპირველესად განსაზღვრავდა პირდაპირ დანახარჯებს თითოეული განყოფილების მიხედვით. შემდეგ პირდაპირი დანახარჯების თანხას იგი უმატებდა ცენტრის საერთო ხარჯებს - ადმინისტრაციულს, იჯარის გადასახადს, კომუნალურ გადასახადებს და სხვა. ამგვარად განისაზღვრებოდა გამაჯანსაღებელი ცენტრის დანახარჯების საერთო თანხა. და, ბოლო ეტაპზე, ცენტრის დანახარჯების მთლიანი თანხა იყოფოდა წლის განმავლობაში პაციენტების მიერ ცენტრში განხორციელებული ვიზიტების რიცხვზე. ეს მაჩვენებელი ინფლაციის ხარისხის გათვალისწინებით კორექტირდებოდა დაახლოებით 8–10 %-ით წელიწადში და შესაბამისად დგინდებოდა პაციენტის მიღების გადასახადი მომავალ წელს. ამ მეთოდის განხილვისას, ხელმძღვანელმა ახსნა პრობლემის თავისი ხედვა. როგორც მან გაიგო, ეს არც ისე ზუსტი მეთოდია ცენტრში ვიზიტის ანაზღაურების განსაზღვრისათვის. მომსახურების დადგენილი საფასური სასურველია მისაღებ დონეზე შევინარჩუნოთ, რათა უზრუნველყოთ ქალაქის მაცხოვრებლების უმეტესობისათვის ცენტრის მომსახურების ხელმისაწვდომობა. გარდა ამისა, მან ხაზი გაუსვა თითოეულ განყოფილებაში პაციენტის მიღების საფასურის დადგენის სხვა სირთულეებს, კერძოდ ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სასურველია უფრო ყურადღებით იქნას განხილული ცენტრის საერთო დანახარჯები, ისეთები როგორიცაა ადმინისტრაციული ხარჯები და საიჯარო ხარჯი, რომლებიც უნდა ჩაერთოს ვიზიტების ღირებულების კალკულაციაში. ეს ადვილი იყო, როცა ვიზიტზე ხარჯები განისაზღვრებოდა საშუალოდ, მთლიანი ცენტრის მასშტაბით. საბოლოო

გადაწყვეტილება, თუ როგორ უნდა განისაზღვროს პაციენტის ვიზიტის მთლიანი თვითღირებულება თითოეული განყოფილების მიხედვით, მე ჯერ არა მაქვს - განაცხადა მან. სასურველია, აგრეთვე ყურადღება მიექცეს ასეთ მომენტს: ჩვენი განყოფილებების ნაწილი მომსახურებას უწევს ცენტრის სხვა განყოფილებებს. მაგალითად, ავადმყოფების მოვლის სამსახურში სამი მედდა ირიცხება, ყველა ერთნაირი შრომის ანაზღაურების განაკვეთით. მაგრამ ერთი მათგანი მომსახურებას უწევს მხოლოდ ზრდასრულ მოსახლეობას, მეორე თანაბარ ყურადღებას უთმობს ოჯახის შემადგენლობის დაგეგმვისა და პედიატრიულ განყოფილებებს და მხოლოდ მესამე მუშაობს მთელი თავის სამუშაო დროის განმავლობაში უშუალოდ ავადმყოფების მოვლის განყოფილებაში, იღებს პაციენტებს პროცედურაზე და ასისტირებას უწევს მკურნალ ექიმს. უფრო რთული სიტუაციაა სოციალური სამსახურების განყოფილებაში. აქ სადოქტორო ხარისხის მქონე ორი სოციოლოგი მუშაობს, რომელთაგან თითოეული დაახლოებით 24000 ლარს გამოიმუშავებს და ერთი ბაკალავრი, რომელიც წლის განმავლობაში დაახლოებით 14000 ლარს იღებს. სოციოლოგიის ორივე დოქტორი წელიწადში საერთო კონსულტაციების საჭიროების მქონე 1500-მდე პაციენტს იღებს, მაგრამ ისინი თავიანთი სამუშაო დროის 50%-ს სხვა განყოფილებებში ატარებენ, სადაც ასევე საჭიროა კონსულტაციები (სტომატოლოგიური განყოფილების გამოკლებით). ბაკალავრი თავის სამუშაო დროს თანაბრად ყოფს ყველა განყოფილებას შორის (გარდა სტომატოლოგიური განყოფილებისა).

ბუღალტერმა წარმოდგენილისთვის შემდეგის დამატება შეძლო: მე მქონდა რამდენიმე მცდელობა მეპოვა განყოფილებების მიხედვით დანახარჯების განაწილების (ზედნაღები ხარჯების) შესაფერისი მეთოდი. როგორც თქვენ იცით ეს არ არის ადვილი საქმე, ადმინისტრაცია, მაგალითად, როგორც მე მგონია, თანაბარ ყურადღებას უთმობს თითოეულ თანამშრომელს. ამიტომ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ განყოფილებაზე მოსული ადმინისტრაციული ხარჯების წილი შეესაბამება ცენტრის შრომის ანაზღაურების საერთო ფონდში ამ განყოფილების შრომის ანაზღაურების ფონდის წილს. საიჯარო გადასახადი შეიძლება ადვილად განაწილდეს შენობის დაკავებული ფართის საფუძველზე. კომუნალური გადასახადები, გადასახადები ელექტროენერგიაზე და ტელეფონით მომსახურებაზე შეიძლება მათი ფაქტიური გამოყენების მიხედვით დაერიცხოს. მაგრამ რამდენადაც ამ ხარჯების რეგისტრაცია არ წარმოებს განყოფილებების მიხედვით, შეიძლება ამ მუხლების ხარჯებიც განყოფილებების მიერ დაკავებული შენობის ფართის საფუძველზე განაწილდეს. ვფიქრობ, ეს ასევე ეხება შენობის დასუფთავების ხარჯებსაც. რეგისტრატურის ხარჯები ალბათ, შესაძლებელია განყოფილებების მიხედვით განაწილდეს მათთან პაციენტების ვიზიტების რაოდენობის საფუძველზე.

უფრო რთულად არის საქმე ლაბორატორიის მომსახურებასთან დაკავშირებით. რამდენიმე განყოფილება საერთოდ არ სარგებლობს ლაბორატორიის მომსახურებით, მაშინ, როცა სხვები მას რეგულარულად იყენებენ. ვფიქრობ, ლაბორატორიის მომსახურების ანაზღაურება შეიძლება თითოეულ შეკვეთაზე სამუშაო დროის პირდაპირი დანახარჯების კაცსაათების რაოდენობის მიხედვით განაწილდეს. ლაბორატორიაში ორი ადამიანი მუშაობს. თითოეული წელიწადში დაახლოებით 2000 კაცსაათს გამოიმუშავებს, ამიტომ ლაბორატორიის მომსახურების ანაზღაურება ერთ საათიანი მუშაობისათვის, სადაც, 8 ლარი უნდა იყოს. მაგრამ ეს ძალზე მიახლოებითია, რამდენადაც ლაბორატორია იყენებს სხვადასხვა მასალებს, სარგებლობს შენობით და განსაზღვრულ ყურადღებას ითხოვს ადმინისტრაციისაგან. შესაბამისად, ლაბორატორიის მომსახურების ღირებულებაში ეს ხარჯებიც უნდა ჩაერთოს და არა მხოლოდ ლაბორატორიის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება. ასეთი ამოცანა ძალზე რთული აღმოჩნდა, მე ვერ შევძელი მას მთლიანად გავმკლავებოდი. ხოლო მონაცემები განყოფილებების მიერ დაკავებული შენობის ფართზე და ლაბორატორიის მომსახურებაზე შევკრიბე.

**გეგმა:** ხელმძღვანელმა შეაფასა პერსპექტივები, გადაწყვიტა 20X1 წლის დარჩენილ დროში ზუსტი მონაცემები მიეღო თითოეული განყოფილების დანახარჯებზე. გამაჯანსაღებელი ცენტრი აფართოებს თავის საქმიანობას და ხელმძღვანელმა ჩათვალა, რომ 20X1 წელში პაციენტთა რიცხვი (ვიზიტთა რაოდენობა) დაახლოებით 10%-ით გაიზრდება - თანაბრად, ყველა განყოფილების მიხედვით. მან ბუღალტერს სთხოვა მოემზადებინა 20X1 წლის დანახარჯების თანმიმდევრული საფეხურებრივი ანალიზი, განესაზღვრა ფაქტიური დანახარჯები თითოეული განყოფილების მიხედვით. ხელმძღვანელი გეგმავს ეს ინფორმაცია გამოიყენოს 20X1 წლის დარჩენილ თვეებში პაციენტების მიერ ცენტრში განხორციელებული ვიზიტების ანაზღაურების განსაზღვრისათვის.

ზემოთ მოყვანილი პრობლემების გადაწყვეტისათვის **მოგეთხოვებათ:**

გამოთვალეთ თითოეული დანახარჯთა ცენტრის მიხედვით (ძირითადი საწარმოო განყოფილებებისათვის) ერთი პაციენტის მომსახურების თვითღირებულება. (გათვლების შედეგები დაამრგვალეთ მთელებამდე სიზუსტით).

**შენიშვნა:** ძირითადი ქვეგანყოფილებიდან სოციალური მომსახურების განყოფილება სხვა განყოფილებებთან ერთად მომსახურებას უწევს ავადმყოფთა მომსახურების განყოფილებასაც, მაშინ როცა ეს უკანასკნელი თავის საქმიანობას არ უნაწილებს ავადმყოფთა მომსახურების ქვეგანყოფილებას. ეს საკითხი გაითვალისწინეთ დანახარჯთა გადანაწილების პროცესისას და დანახარჯთა გადანაწილება პირველად განახორციელებთ ავადმყოფთა მომსახურების ცენტრიდან. მხოლოდ ამის შემდეგ განახორციელებთ დანახარჯთა გადანაწილების მომდევნო საფეხურები.

**(ქვევით ცხრილების სახით მოცემულია სხვა დამატებითი ინფორმაციები)**

**დამატებითი ინფორმაცია:**

**გამაჯანსაღებელი ცენტრის მოგება-ზარალის ანგარიშგება 20X0 წლისათვის (ლარებში)**

|                                                             | შემოსავლები   | ხარჯები                      |
|-------------------------------------------------------------|---------------|------------------------------|
| ამონაგები (პაციენტთა მიერ შემოტანილი მომსახურების საფასური) | 690900        |                              |
| ამონაგები სხვა წყაროების ხარჯზე                             | 10000         |                              |
| <b>სულ ამონაგები</b>                                        | <b>700900</b> |                              |
|                                                             |               |                              |
| ხარჯები ცენტრის განყოფილებებში გაწეულ მომსახურებაზე         |               | 468000                       |
| კომუნალური მომსახურების ხარჯები                             |               | 20000                        |
| ლაბორატორიის ხარჯები                                        |               | 50000                        |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                           |               | 184000                       |
| <b>ხარჯების საერთო თანხა</b>                                |               | <b>722000</b>                |
|                                                             |               |                              |
| <b>ხარჯების მეტობა შემოსავლებზე (ბიუჯეტის დეფიციტი)</b>     |               | <b>700900-722000=(21100)</b> |

**ხარჯები გამაჯანსაღებელი ცენტრის განყოფილებებში 201X წლის განმავლობაში**

| განყოფილება                                  | პაციენტების ვიზიტების რაოდენობა | ხარჯები, ლარებში                    |                   |               |
|----------------------------------------------|---------------------------------|-------------------------------------|-------------------|---------------|
|                                              |                                 | სამუშაოს ანაზღაურებაზე <sup>1</sup> | სხვა <sup>2</sup> | სულ           |
| პედიატრიული                                  | 5000                            | 40000                               | 16000             | <b>56000</b>  |
| ოჯახის შემადგენლობის დაგეგმვის               | 10000                           | 10000                               | 30000             | <b>40000</b>  |
| ზრდასრული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება | 2100                            | 60000                               | 32000             | <b>92000</b>  |
| ავადმყოფების მოვლის სამსახური                | 4000                            | 54000                               | 12000             | <b>66000</b>  |
| ფსიქოლოგიური                                 | 1400                            | 30000                               | 16000             | <b>46000</b>  |
| სოციალური სამსახურები                        | 1500                            | 62000                               | 16000             | <b>78000</b>  |
| საზოგადოებრივი ჯანდაცვა                      | 2500                            | 10000                               | 20000             | <b>30000</b>  |
| სტომატოლოგიური                               | 6400                            | 40000                               | 20000             | <b>60000</b>  |
| <b>სულ</b>                                   | <b>32900</b>                    | <b>306000</b>                       | <b>162000</b>     | <b>468000</b> |
| ადმინისტრაციული ხარჯები                      |                                 | 76000                               | 4000              | <b>80000</b>  |
| იჯარის ხარჯი                                 |                                 |                                     | 72000             | <b>72000</b>  |
| კომუნალური ხარჯები                           |                                 |                                     | 20000             | <b>20000</b>  |
| ლაბორატორიული მომსახურება                    |                                 | 32000                               | 18000             | <b>50000</b>  |
| შენობის დასუფთავება                          |                                 |                                     | 12000             | <b>12000</b>  |

|                                                                  |  |               |                      |               |
|------------------------------------------------------------------|--|---------------|----------------------|---------------|
| რეგისტრატურის ხარჯები                                            |  | 14000         | 6000                 | <b>20000</b>  |
| <b>ს უ ლ</b>                                                     |  | <b>430000</b> | <b>294000</b>        | <b>722000</b> |
| ვიზიტების რაოდენობა                                              |  |               | 32900                |               |
| ერთ ვიზიტზე გათვლილი მთლიანი დანახარჯების საშუალო სიდიდე ცენტრში |  |               | 22<br>(722000/32900) |               |

შენიშვნა: ვიზიტების რიცხვი დამრგვალებულია 100-მდე, ხარჯების თანხა - ათასებამდე.

1 - პრემიალური ანაზღაურების ჩათვლით.

2 - მასალები, წამლები, ინსტრუმენტები, გარეშე მომსახურების ანაზღაურება, დარიცხული ცვეთა და სხვა ხარჯები, რომელების დაკავშირებული არ არიან ცენტრის პერსონალთან.

| განყოფილებები                                | დაკავებული ფართი (კვ.მ) | ლაბორატორიის მომსახურება (ლაბორატორიის მუშაკთა მუშაობის კაცსაათები) |
|----------------------------------------------|-------------------------|---------------------------------------------------------------------|
| პედიატრიული                                  | 1000                    | 1000                                                                |
| ოჯახის შემადგენლობის დაგეგმვის               | 1300                    | 200                                                                 |
| ზრდასრული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება | 1800                    | 2400                                                                |
| ავადმყოფების მოვლის სამსახური                | 300                     | 100                                                                 |
| ფსიქოლოგიური                                 | 1000                    | -                                                                   |
| სოციალური სამსახური                          | 500                     | -                                                                   |
| საზოგადოებრივი ჯანდაცვა                      | 1100                    | 100                                                                 |
| სტომატოლოგიური                               | 1000                    | 200                                                                 |
| ადმინისტრაცია                                | 500                     | -                                                                   |
| რეგისტრატურა                                 | 300                     | -                                                                   |
| ლაბორატორია                                  | 1200                    | -                                                                   |
| <b>ს უ ლ</b>                                 | <b>10000</b>            | <b>4000</b>                                                         |

შენიშვნა: ყველა ციფრი დამრგვალებულია ასამდე.